



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

19 ნოემბერი 2024



N 655/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის – „იფარის“ გაყვანაზე (№55-56 და №66-74 საყრდენებს შორის მონაკვეთების რეკონსტრუქცია) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის – „იფარის“ გაყვანის (№55-56 და №66-74 საყრდენებს შორის მონაკვეთების რეკონსტრუქცია) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, არსებული 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი – „იფარი“ მდებარეობს მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში, მისი ძირითადი მარშრუტი გადის ზღვის დონიდან 2800 მეტრის სიმაღლეზე (ლატფარის უღელტეხილი) და ერთმანეთთან აკავშირებს ქვემო სვანეთისა და მესტიის რაიონების ქვესადგურებს. აღსანიშნავია, რომ არსებული 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი – „იფარის“ მოწყობა-ექსპლუატაციაზე გზშ-ის სფეროში აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემული არ არის. არსებული მდგომარეობით, რთული მეტეოროლოგიური, კლიმატური და გეოლოგიური პირობების, ასევე, მიწასთან დარღვეული მინიმალური დასაშვები გაბარიტების გამო, ელექტროგადამცემი ხაზის გარკვეულ მონაკვეთებზე ხშირია დაზიანებები და ექსპლუატაციის შეფერხება. აღნიშნული დაზიანებების აღმოფხვრისა და ავარიული სიტუაციების პრევენციის მიზნით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, გათვალისწინებულია №55-№56 და №66-№74 საყრდენებს შორის გამავალი მონაკვეთების რეკონსტრუქცია. №55-№56 საყრდენებს შორის სარეკონსტრუქციო მონაკვეთის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია X-332101.0 Y-4747581.0; X-332190.0 Y-4747805.0 და მისი სიგრძე შეადგენს დაახლოებით 240 მეტრს, ხოლო №66-№74 საყრდენებს შორის სარეკონსტრუქციო მონაკვეთის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია X-332082.0 Y-4749780.0; X-331314.0 Y-4751591.0 და მისი სიგრძე შეადგენს დაახლოებით 2060 მეტრს. საპროექტო მონაკვეთებიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 3 კმ-ზე მეტი მანძილით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, №55-№56 საყრდენებს შორის სარეკონსტრუქციო მონაკვეთში, მიწასთან დარღვეული მინიმალური დასაშვები გაბარიტების გასწორების მიზნით, დაგეგმილია ახალი №55' კუთხურ-ანკერული ლითონის საყრდენის მოწყობა (GPS კოორდინატები: X-332155.3, Y-4747717.6), ხოლო №66-№74 საყრდენებს შორის სარეკონსტრუქციო მონაკვეთი განთავსებულია ისეთ წერტილებში, სადაც დასაშვები გაბარიტული მალეები ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებს, რაც

იწვევს საყრდენების გადახრას და სადენების გაწყვეტას. ამასთან, ამავე მონაკვეთში არსებული №71 და №73 საყრდენები ხვდება ზვავსაშიშ არეალში. შესაბამისად, აღნიშნული მონაკვეთის რეკონსტრუქციის ფარგლებში, გათვალისწინებულია არსებული 9 საყრდენის დემონტაჟი და მათ ნაცვლად, ახალ ადგილებზე, 6 საპროექტო საყრდენის მონტაჟი (GPS კოორდინატები: X-331937.0 Y-4749848.0; X-331658.9 Y-4750059.5; X-331577.1 Y-4750418.8; X-331504.3 Y-4750563.1; X-331388.0 Y-4750984.0; X-331284.0 Y-4751421.0). აღსანიშნავია, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოები არ ითვალისწინებს არსებული ელექტროგადამცემი ხაზის მარშრუტის მნიშვნელოვან ცვლილებას, კერძოდ, მაქსიმალური დაშორება არსებული საყრდენიდან საპროექტო საყრდენამდე შეადგენს დაახლოებით 150 მეტრს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებთან და შესაბამისად, სარეკონსტრუქციო სამუშაოების ეტაპზე სამშენებლო ბანაკის და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განხორციელდება სადემონტაჟო სამუშაოები, მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მომზადდება საპროექტო საყრდენების საძირკვლები, რომლებიც შერჩეულია საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე. საძირკვლების ქვეშ, ქვაბულის ფსკერის მოსასწორებლად, მოეწყობა 10-15 სმ სისქის ხრემის ან ღორღის ფენა, რის შემდგომაც განთავსდება საპროექტო საყრდენები და სადენები. სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხანგრძლივობა იქნება დაახლოებით 70 დღე და დასაქმდება 20 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება, ხოლო სამშენებლო მასალა ტერიტორიაზე შევა მზა სახით. სარეკონსტრუქციო სამუშაოების ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სამუშაოებში ჩართული ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სამშენებლო ტექნიკა. სარეკონსტრუქციო სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობის და უახლოეს დასახლებულ პუნქტთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. ამასთან, სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებისას მუდმივად გაკონტროლდება სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობა, გადაადგილების სიჩქარეები და სამუშაოები შესრულდება მხოლოდ დღის საათებში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სარეკონსტრუქციო სამუშაოების ეტაპზე მოსალოდნელია არასახიფათო და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენები გატანილი იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად დემონტირებული მასალები დასაწყობდება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ საკუთრებაში არსებულ საწყობში, მათი შემდგომი გამოყენებისათვის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სარეკონსტრუქციო სამუშაოების ეტაპზე მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა მოხდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილების შესაბამისად და გამოყენებული იქნება სამშენებლო მოედნების სარეკულტივაციო სამუშაოებისთვის,

ხოლო ექსკავირებული გრუნტი გამოყენებული იქნება უკუყრისთვის და საპროექტო ტერიტორიის მოსასწორებლად.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო მონაკვეთების მიმდებარედ ფიქსირდება რამდენიმე ზედაპირული წყლის ობიექტი, კერძოდ, მდ. ლამუშურისწყალი, მდ. ვალეში და 4 უსახელო ტბა. აღნიშნული ზედაპირული წყლის ობიექტებიდან, უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტია უსახელო ტბა, რომელიც მდებარეობს ლატვარის უღელტეხილზე და სარეკონსტრუქციო მონაკვეთიდან დაშორებულია დაახლოებით 60 მეტრით. დოკუმენტის მიხედვით, ზედაპირული წყლის ობიექტების დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. სარეკონსტრუქციო სამუშაოების პროცესში გაკონტროლდება სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს გამოყენებული ტექნიკისა და დანადგარების გამართულობა და გატარდება შესაბამისი ღონისძიებები.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით, თითოეული საპროექტო საყრდენის განთავსების ტერიტორიაზე გაყვანილი იქნა 7 მეტრი სიღრმის ჭაბურღილი. საკვლევ უბნებზე გაყვანილ ჭაბურღილებში გრუნტის წყლები არ დაფიქსირებულა. შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე გამოყოფა 4 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე). სგე-1 წარმოდგენილია ღორღოვანი გრუნტით, თიხნარისა და თიხის შემავსებლით; სგე-2 – ნახევრად კლდოვანი, ძლიერ ნაპრალოვანი, ძლიერ გამოფიტული, თხელშრებრივი თიხაფიქლებით, კვარცისა და კალციტის სხვადასხვა ზომის მარღვებით; სგე-3 – ლოდნარით, თიხნარისა და თიხის შემავსებლით, ღორღის ჩანართებით 30%-მდე; სგე-4 – ნახევრადკლდოვანი, ნაპრალოვანი, საშუალოდგამოფიტული, თხელშრებრივი თიხაფიქლებით, კვარცისა და კალციტის სხვადასხვა ზომის მარღვებით. სამშენებლო მოედნები გამოირჩევა მდგრადობის მაღალი ხარისხით, რაც განპირობებულია როგორც რელიეფური თავისებურებებით, ასევე, მისი შემადგენელი გრუნტების ფიზიკური თვისებებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საყრდენების ადგილმდებარეობის ცვლილება განხორციელდა გეოლოგიური კვლევების გათვალისწინებით და შერჩეული იქნა ნაკლები გეოლოგიური რისკის მქონე უბნები, რომლებიც ადვილად მისადგომია და არ მოითხოვს ახალი მისასვლელი გზების მოწყობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, №66-№74 საყრდენებს შორის სარეკონსტრუქციო მონაკვეთი ნაწილობრივ მოქცეულია ზურმუხტის ქსელის საზღვრებში (სვანეთი 2 GE0000057). ამასთან, საპროექტო ტერიტორია ემთხვევა ფრინველთა მნიშვნელოვან ტერიტორიას („IBA Svaneti Region-GE012“). სკრინინგის განცხადებაზე თანდართულია ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შესაბამისობის შეფასება, სადაც განსაზღვრულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. იმის გათვალისწინებით, რომ დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში არსებული ელექტროგადამცემი ხაზის მარშრუტის მნიშვნელოვან ცვლილებას ადგილი არ აქვს და ასევე არ იზრდება ეგზ-ის ტექნიკური მახასიათებლები, დაგეგმილი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, საპროექტო მონაკვეთების მოწყობა-ექსპლუატაციით ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ლატვარის უღელტეხილზე ფიქსირდება „წმ. ლუკა მოციქულის სახელობის ტაძარი“, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან

დამორებულია დაახლოებით 200 მეტრით. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციის შესაბამისად, საპროექტო მონაკვეთები არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის არეალში. ამასთან, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, მიწის სამუშაოების დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, სამშენებლო სამუშაოები დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს და აღნიშნულის შესახებ ეცნობოს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფებზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის მასშტაბის, სპეციფიკისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, დაგეგმილი სარეკონსტრუქციო სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის – „იფარის“ გაყვანა (№55-56 და №66-74 საყრდენებს შორის მონაკვეთების რეკონსტრუქცია) არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/655-21-4-202411191719>

